ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3803621

ნომერი: AR1572677

თარიღი : 25.01.2018

გაცემის თარიღი : 01.02.2018

გაცნობის თარიღი : 01.02.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლეო დავითაშვილი , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ილია უჯმაჯურიძე პ/ნ 01008000567
- თბილისი გ.შატბერაშვილის ქ. N 4 კორ. 7 ბ. 10

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 3307594
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 14.06.2017

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული 2018 წლის 25 იანვრის AR1572677 განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1.საჭიროა ფასადზე დამატებით მოწყობილი დანადგარები (გამათბობლები) მოიხსნას და აღნიშნული მოვიდეს შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობაში.
2.საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ დამოწმებული არსებული კ-3 კოეფიციენტის საანგარიშო კროკი და მიწისპირა სართულის გეგმა. საჭიროა აჩვენოთ აბსოლუტური ნიშნული ±0.00 საპროექტო ნიშნულთან მიმართებაში, ასევე დაიტანეთ არსებული ნიშნულები შენობაში შესასვლელებთან. ანაზომზე აჩვენეთ „1-1“ ღერძს მიღმა გ-ბ1 ღერძებს შორის მოქცეული კიბე/ბაქნის საზოგადოებრივ სივრცეში შეჭრის მანძილი.
3.საჭიროა მოაწყოთ შეთანხმებულ პროექტში გათვალისწინებული ელ. მექანიკური ამწეები (ავტოსაგომები).

ზემოაღნიშნული ხარვეზების გამოსწორების შემთხვევაში საჭიროა ცვლილება შეიტანილ იქნას (ამოღებულ იქნას) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გამოცემულ 2017 წლის 10 ნოემბრის ბ-19/01172231249-17 ბრძანებაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.